

სასურსათო და კვების უსაფრთხოება საქართველოს მთიანეთში



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ
Funded by the European Union



RURAL AND
AGRICULTURAL
POLICY AND
DEVELOPMENT
INSTITUTE



OXFAM

**სასურსათო და
კვების უსაფრთხოება
საქართველოს
მთიანეთში**

თბილისი
2016

სარჩევი

1. შესავალი	5
1.1 კვლევის მიზანი	5
1.2. ამოცანები	5
1.3. შესასწავლი რეგიონები	5
1.4. კვლევის მეთოდოლოგია	6
2. დასკვნები	7
3. რეკომენდაციები	13
4. სასურსათო და კვების უსაფრთხოება მთიანეთში	17
4.1. სურსათის არსებობა	17
4.2. სურსათზე ხელმისაწვდომობა	22
4.3. კვების უსაფრთხოება და მიწოდების სტაბილურობა	27
5. სასურსათო და კვების უსაფრთხოების დონე	30
6. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების სახელმწიფო სისტემა	32



შეჯამება

კვლევის მიზანია სასურსათო და კვების უსაფრთხოების მდგომარეობის შესწავლა სურსათზე ხელმისაწვდომობის, სურსათის არსებობისა და სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების სფეროების მიხედვით საქართველოს მთიანეთში. მათ შორის, მიმოხილულია კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეები სურსათის წარმოებასა და ხელმისაწვდომობაზე. კვლევის პროცესი განხორციელდა როგორც კამერალურად, აგრეთვე საველე სამუშაოების სახით.

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდი. ადგილობრივი მოსახლეობისგან პირველადი მონაცემების მოსაგროვებლად გამოყენებულ იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი. თვისობრივი კვლევა განხორციელდა ფოკუს ჯგუფებისა და ჩადრმავებული ინტერვიუების მეთოდების გამოყენებით. კამერალური კვლევა ჩატარდა 12 მუნიციპალიტეტსა და 6 რეგიონში. კამერალურმა კვლევამ დაადასტურა, რომ კვლევის ობიექტთან დაკავშირებით განსაკუთრებით მუნიციპალიტეტებისა და საოჯახო მეურნეობების დონეზე მონაცემები ფრაგმენტული და მწირია, და მათ საფუძველზე სრულფასოვანი ანალიზის ჩატარება შეუძლებელია. შესაბამისად, საველე კვლევა ჩატარდა წინასწარ შერჩეულ ოთხ მუნიციპალიტეტში (მესტია, სტეფანწმინდა, ასპინძა და შუახევი).

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში სასურსათო და კვების უსაფრთხოების დონე უფრო დაბალია ვიდრე მთლიანად საქართველოში. წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 9-13% აქვს საკვებით უზრუნველყოფის პრობლემები, როდესაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 7.4%-ია.

მთიანეთის მუნიციპალიტეტების მიერ სასურსათო უსაფრთხოებისათვის საბაზო კვების პროდუქციის ასორტიმენტიდან უმრავლესობა თითქმის მთლიანად რეგიონის გარედანაა შემოტანილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთიანეთის შესწავლილი ყველა მუნიციპალიტეტი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ დიდი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთიანეთში სასოფლო-სამეურნეო პროფილისაა, მათ სურსათით თვითუზრუნველყოფა შეუძლიათ მხოლოდ რამოდენიმე პოზიციით. მაღალმთიან რეგიონებს საბაზო საკვები ძირითადად საქართველოს სხვა რეგიონებიდან მიეწოდებათ ან ხდება საბაზო პროდუქტის იმპორტი სხვადასხვა ქვეყნებიდან.

საქართველოს მთიანეთში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების დონე და სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვადასხვა სახეობების პროდუქციის წარმოების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები ბართან შედარებით შეზღუდულია. არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები, მიწაზე და ბუნებრივ რესურსებზე საკუთრებითი ურთიერთობისა და ერთიანი დასრულებული საკანონმდებლო სისტემის, მიწის რეგისტრაციისა და კადასტრის არარსებობა, კრედიტებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის დეპოპულაცია, დიდი კავკასიონის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

საქართველოს მთიანეთში სურსათზე ხელმისაწვდომობა უფრო დაბალია ვიდრე ქვეყანაში მთლიანად. გამოკითხვის მიხედვით, მთიანეთში საოჯახო მეურნეობათა 63% კვების პროდუქტებზე

ხარჯავს მთლიანი ხარჯების 50%-ზე მეტს. საოჯახო მეურნეობათა 22%-ისათვის სამომხმარებლო ხარჯებში სურსათზე ხარჯების წილი 75%-ზე მეტია. როცა, საოჯახო მეურნეობების საყოფაცხოვრებო ხარჯებში სურსათზე ხარჯების წილი მთლიანად საქართველოში 44%-ს შეადგენს. აქედან აღსანიშნავია, რომ საოჯახო მეურნეობათა 8%-ს საერთოდ არ ჰყოფნის შემოსავლები სურსათზე ხარჯებისათვის.

მთიანეთში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი კომერციალიზაციის დაბალი დონე არ არის კომპენსირებული ეკონომიკის არასასოფლო სექტორების ზრდით, შესაბამისად დასაქმების დივერსიფიკაციით, შემოსავლებისა და სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ზრდით. მთიანი რეგიონების არასასოფლო სექტორიდან დღეისათვის აქტივობა შეინიშნება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

სიღარიბე და სურსათზე ფასები, როგორც ყველგან, ასევე მთიანეთშიც აისახება ოჯახების კვებაზე. მათი ზრდა იწვევს ოჯახის კვების სტრუქტურისა და ხარისხის გაუარესებას. სასურსათო უზრუნველყოფა სულ უფრო დამოკიდებული ხდება პროდუქტების შეძენაზე და შესაბამისად ფულად შემოსავლებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ხშირად დგება არჩევანი სურსათის ფასსა და ხარისხს შორის, რაც უმეტეს შემთხვევაში ფასის სასარგებლოდ წყდება. უფრო დაბალი ხარისხის პროდუქტს ფასის გამო უპირატესობას გამოკითხულთა 84% ანიჭებს. ყოველდღიურად მოხმარებული სურსათის რაოდენობისა და ხარისხისაგან გამომდინარე, საკუთარი ოჯახის კვება გამოკითხულთა 72,5%-მა შეაფასა როგორც საშუალო, ხოლო 13,8%-მა როგორც ცუდი კვება. მთიანეთში კვების სტრუქტურასთან ერთად მნიშვნელოვანია არსებული სანიტარულ-ჰიგიენური და წყლით უზრუნველყოფის საკითხების სრულყოფა.

კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეები სურსათის წარმოებისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მთიანი რეგიონის კონტექსტში უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა საქართველოსთვის. ნიშანდობლივია, რომ მაღალმთიანი სოფლებიდან მიგრაციის მთავარ მიზეზთა შორის, გამოკითხულთა 18%-ის მიერ კლიმატის ცვლილება და სტიქიური უბედურებების სიხშირე იქნა დასახელებული.

საოჯახო მეურნეობების განვითარებისთვის გამოუყენებელია გენდერული თანასწორობის პოტენციალი - ის რესურსი, რაც საკუთრებაზე ქალების რეალური უფლებების გაზრდით შეიძლება იქნას მიღწეული. მეურნეობის წარმართვასთან გენდერული მდგომარეობის კვლევისას, საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით მამაკაცების ხაზით გადაცემის პრიორიტეტი დაადასტურა რესპოდენტთა 66,4%-მა. "ოჯახის უფროსად" თანაფარდობა ქალსა და კაცს შორის აშკარად მამაკაცების სასარგებლოდაა (85,8%), ქალები ოჯახების 14,2% შემთხვევაში არიან "ოჯახის უფროსებად" წარმოდგენილნი.

მიღებული დასკვნების შედეგად შემუშავდა შემდეგი ოთხი რეკომენდაცია:

- სასურსათო და კვების უსაფრთხოების სახელმწიფო უზრუნველყოფის სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა.
- საქართველოს სასურსათო და კვების უსაფრთხოების პოლიტიკის სისტემაში გათვალისწინებულ იქნას მთიანეთთან დაკავშირებული საკითხები და მათი სპეციფიკა.
- მთიანეთში სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროების განვითარებისათვის სურსათის არსებობისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის, კვების ხარისხისა და სტაბილურობის

უზრუნველყოფის მექანიზმად გამოყენებულ იქნას სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები დიფერენცირებული ტერიტორიებისა და პრობლემების მიხედვით.

- დაძლეულ უნდა იქნას მთიანეთში საბაზრო სისტემასთან ადაპტირების, სასურსათო და კვების უსაფრთხოებისა და მთიანეთის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები.

1. შესავალი

2013 წლის სექტემბრიდან ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის "ოქსფამ"-ის მიერ ახერხებული საქართველოსა და სომხეთში ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 4 წლიანი რეგიონული პროექტი - "ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერთა მხარდაჭერა".

ამ პროექტის ფარგლებში მომზადდა წინამდებარე კვლევა. მასში გაანალიზებულ იქნა სასურსათო და კვების უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოს მთიანეთში, კერძოდ დიდი და მცირე კავკასიონის რეგიონში.

1.1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია სასურსათო და კვების უსაფრთხოების მდგომარეობის შესწავლა სურსათის ხელმისაწვდომობის, სურსათის არსებობისა და სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების სფეროების მიხედვით საქართველოს მთიანეთში, მათ შორის კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეები სურსათის წარმოებისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და გენდერული თანასწორობის გამოწვევების კვლევა საოჯახო მეურნეობების სასურსათო და კვების უსაფრთხოების სისტემაში.

1.2. ამოცანები

მიზნის მისაღწევად გადაწყდა შემდეგი ამოცანები:

- საქართველოს მთიანეთში სასურსათო და კვების უსაფრთხოების პრობლემების იდენტიფიცირება, მათი არსებობის მიზეზების დადგენა;
- საქართველოში მთიანი რეგიონების სასურსათო და კვების უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება კლიმატის ცვლილებების შედეგად არსებული გამოწვევების თვალსაზრისით;
- კვლევის შედეგების კონსოლიდირებული ანალიზი, კონკრეტული სინამდვილისათვის სასურსათო და კვების უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის არსებული გზების მოძებნა და პოლიტიკის ახლებური ხედვით განმახორციელებელთათვის წარსადგენი რეკომენდაციების შემუშავება.

1.3. შესასწავლი რეგიონები

საქართველო მთავორიანი ქვეყანაა. ის მიეკუთვნება მთიან ქვეყნებს. მთიანია საქართველოს ტერიტორიის 54%. საქართველო გეომორფოლოგიურად იყოფა დიდ კავკასიონად, მთათაშორის ბარად და მცირე კავკასიონად. დიდი და მცირე კავკასიონის ქედები ლიხის ქედითაა შეერთებული, რაც საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ჰყოფს. გეომორფოლოგიის გათვალისწინებით კვლევის არეალი მოიცავს:

- დიდი კავკასიონის მთების დასავლეთით მდებარე მუნიციპალიტეტებს (მესტიის და ონის მუნიციპალიტეტები)
 - დიდი კავკასიონის მთების აღმოსავლეთით მდებარე მუნიციპალიტეტებს (ყაზბეგის, დუშეთის და ახმეტის მუნიციპალიტეტები) დამცირე კავკასიონის მთებში მდებარე მუნიციპალიტეტებს (ასპინძა, ადიგენი, ახალქალაქი, დმანისი, ხულო, ქედა და შუახევი).
- საქართველოს ეს მთიანი რეგიონები ამავე დროს ესაზღვრებიან მეზობელ სახელმწიფოებს.

1.4. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნისა და ამოცანებიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის სტრატეგია. კვლევის პროცესი განხორციელდა როგორც კამერალურად, აგრეთვე საველე სამუშაოების სახით.

კამერალურმა კვლევამ დაადასტურა, რომ კვლევის ობიექტთან დაკავშირებით განსაკუთრებით მუნიციპალიტეტებისა და საოჯახო მეურნეობების დონეზე მონაცემები ფრაგმენტული და მწირია, და მათ საფუძველზე სრულფასოვანი ანალიზის ჩატარება შეუძლებელია. ამიტომ წინასწარ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში (მესტია, სტეფანწმინდა, ასპინძა და შუახევი) ჩატარდა საველე კვლევა.

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდი. ადგილობრივი მოსახლეობიდან პირველადი მონაცემების მოსაგროვებლად, გამოყენებულ იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი. აღნიშნული ინტერვიუები, ჩატარდა კვლევისთვის სპეციალურად შექმნილი კითხვარის საშუალებით. თვისობრივი კვლევა განხორციელდა ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების მეთოდების გამოყენებით. სულ შევსებულ იქნა 200 ანკეტა, 180 კითხვარი, შედგა 12 ფოკუს ჯგუფი, 20 ჩაღრმავებული ინტერვიუ. სასურსათო და კვების უსაფრთხოების საკითხების განხილვა მუნიციპალიტეტისა და საოჯახო მეურნეობის დონეზე დაფუძნებულია აღნიშნული კვლევებიდან მიღებულ ინფორმაციაზე.

2. დასკვნები

კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. საქართველოს მთიან რეგიონებში სასურსათო და კვების უსაფრთხოების დონე უფრო დაბალია ვიდრე მთლიანად საქართველოში.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით საშუალოდ საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის 7,4% შიმშილობს.¹ საქართველოს მთიანეთში, წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, ეს მონაცემი 9-13% შეადგენს.

2. საქართველოს მთიანეთში სურსათის არსებობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია, როგორც საქართველოში იმპორტირებული სურსათის, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში ნაწარმოები კვების პროდუქტების შეტანა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთიანეთის შესწავლილი ყველა მუნიციპალიტეტი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ დიდი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთიანეთში: ყაზბეგი, დუშეთი, ონი, მესტია, ქედა, შუახევი, ხულო, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, დმანისი სასოფლო-სამეურნეო პროფილისაა, მათ სურსათით თვითუზრუნველყოფა შეუძლიათ მხოლოდ რამოდენიმე პოზიციით. ესაა სოფლის მეურნეობის აქ არსებული ძირითადი მიმართულებების: მესაქონლეობის, მეცხვარეობის, მეკარტოფილეობის პროდუქცია. მთიანეთის მუნიციპალიტეტების მიერ სასურსათო უსაფრთხოებისათვის საბაზო კვების პროდუქციის ასორტიმენტიდან უმრავლესობა (ბოსტნეული, ფრინველი, კვერცხი, თევზისა და თევზის პროდუქტები, პურისა და პურპროდუქტები, მარცვლეული, ყურძენი, ციტრუსები და სხვა) თითქმის მთლიანად მთიანეთის რეგიონის გარედანაა შემოტანილი. აქ შედის როგორც საქართველოში სხვა რეგიონებში ნაწარმოები, ისე საქართველოში იმპორტირებული სურსათი.

3. საქართველოს მთიანეთში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების დონე და სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვადასხვა სახეობების პროდუქციის წარმოების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები ბართან შედარებით შეზღუდულია. სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობები მთიან რეგიონებში შეზღუდულია არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო.

მთიანეთში სურსათის წარმოების ზრდის ბუნებრივ-კლიმატურთან ერთად სხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური შემაფერხებელი ფაქტორებიც მოქმედებენ. მათ შორის მნიშვნელოვანია მიწაზე და ბუნებრივ რესურსებზე საკუთრებითი ურთიერთობისა და ერთიანი დასრულებული საკანონმდებლო სისტემის, მიწის რეგისტრაციისა და კადასტრის არარსებობა, რაც აფერხებს მიწის ბაზრის ჩამოყალიბებასა და მისი კაპიტალიზაციის პროცესს.

¹ The State of Food Insecurity in the World.FAO, Rome ,2015. <http://www.fao.org/3/a-i4646e.pdf>

კრედიტებზე ხელმისაწვდომობა, რაც ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი მიზეზია მცირე საოჯახო მეურნეობების განვითარებისთვის, მნიშვნელოვნად გამოწვეულია მიწის ნაკვეთების დაურეგისტრირებლობით², რის გამოც მიწა ვერ ასრულებს ქონების-გირავნობის ფუნქციას.

ასევე არ ხდება მიწის ნაკვეთებისა და საქმიანობების კონსოლიდაცია, დაბალია კოოპერაციის დონე საოჯახო მეურნეობებს შორის, კოოპერაციული მმართველობის ფორმების გამოყენება შეზღუდულია.

საქართველოს დიდი კავკასიონის მთიანეთში სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობა, როდესაც დეპოპულაციასთან ერთად მიმდინარეობს ტერიტორიების გაუკაცრიელების პროცესი.

4. მთაში საოჯახო მეურნეობა ოჯახის დონეზე სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი საფუძველია, თუმცა საოჯახო მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობა ნატურალური მეურნეობის სახით არსებობს და როგორც წესი, ნატურალური სახითაც, ვერ უზრუნველყოფს სურსათზე (რამოდენიმე სახეობის გარდა) ფიზიკურ ხელმისაწვდომობას. სურსათზე დეფიციტი შეივსება სურსათის ბაზრის მეშვეობით. შემაჯავებელი სურსათის შესაძენად საოჯახო მეურნეობას სჭირდება ფული, რომლის წყარო მათ მიერ სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ბაზარზე წვდომის შეზღუდულობის გამო მწირია. სურსათის ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ასეთ შემთხვევაში შეზღუდულია უფულობისა და სიღარიბის გამო.

5. საოჯახო მეურნეობების განვითარებისათვის გამოუყენებელია გენდერული თანასწორობის პოტენციალი - ის რესურსი რაც საკუთრებაზე ქალების რეალური უფლებების გაზრდით შეიძლება იქნას მიღწეული. საქართველოს კანონმდებლობით ქალისა და კაცის უფლებები საოჯახო მეურნეობის წარმართვაში, აგრეთვე მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით თანაბარია. თუმცა, რეალურ პრაქტიკაში საკუთრებასთან და მეურნეობის წარმართვასთან გენდერული მგომარეობის კვლევისას, საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით მამაკაცების ხაზით გადაცემის პრიორიტეტი დაადასტურა რესპოდენტთა 66,4%. რესპოდენტთა 32,9%-კი აღნიშნა, რომ მემკვიდრეობის გადაცემა ხდება როგორც ქალის, ისე კაცის ხაზით ოჯახური სიტუაციიდან გამომდინარე. "ოჯახის უფროსად" თანაფარდობა ქალსა და კაცს შორის აშკარად მამაკაცების სასარგებლოდაა (85,8%), ქალები ოჯახების 14,2% შემთხვევაში არიან "ოჯახის უფროსებად" წარმოდგენილნი.

6. საქართველოს მთიანეთშიც ძალაშია ის ზოგადი კანონზომიერება, რომ სიღარიბე მთაში უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყანაში მთლიანად და შესაბამისად ნაკლებია სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობა.

საოჯახო მეურნეობების საყოფაცხოვრებო ხარჯებში სურსათზე ხარჯების წილი მთლიანად საქართველოში 44%-ს³ შეადგენს, მთიანეთში კი საოჯახო მეურნეობათა 63% კვების პროდუქტებზე ხარჯავს მთლიანი ხარჯების 50%-ზე მეტს. აქედან საოჯახო მეურნეობათა 22%-ისათვის სამომხმარებლო ხარჯებში სურსათზე ხარჯების წილი 75%-ზე მეტია. აღსანიშნავია, რომ

² მიწის რეგისტრაციის დონე დაბალია მთლიანად საქართველოში და შეადგენს 30 %-ს. მთიან რეგიონებშიც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია (ყაზბეგის, შუახევის მუნიციპალიტეტებში ანკეტური გამოკითხვის შედეგების მიხედვით შესაბამისად შეადგენს 20-17%)

³ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo ; განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20%-ს არ აღემატება.

საოჯახო მეურნეობათა 8%-ს საერთოდ არ ჰყოფნის შემოსავლები სურსათზე ხარჯებისათვის. შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთი გავრცელებული ალტერნატივაა „სამოვარზე“ წასვლა ქვეყნის შიგნით დიდ ქალაქებში და/ან უცხოეთში, მუდმივად თუ სეზონურად. მიგრაციის მიზიდულობის ცენტრებია თბილისი, ბათუმი, ქუთაისი. ქვეყნის გარეთ მიგრაცია გამოკვეთილია დასავლეთ საქართველოს მთიანეთიდან თურქეთში სამუშაოდ წასვლა.

7. მთიანეთში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი კომერციალიზაციის დაბალი დონე არ არის კომპენსირებული ეკონომიკის არასასოფლო სექტორების ზრდით, შესაბამისად დასაქმების დივერსიფიკაციით, შემოსავლებისა და სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ზრდით.

მთიანი რეგიონების ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებები მიმდინარეობს ახალ საბაზრო პირობებთან სტიქიური ადაპტაციის გზით. მთიანი რეგიონების არასასოფლო სექტორიდან დღეისათვის აქტივობა შეინიშნება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

ტურიზმი მნიშვნელოვანად გაიზარდა მესტიაში (ზემო სვანეთში), სტეფანწმინდაში (ხევში), ნაკლებად ასპინძასა და შუახევში. ასპინძასა და შუახევში, აგრეთვე ახალციხეში, ადიგენში და ხულოში ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის გოდერძის უღელტეხილზე ცუდი გზის არსებობა. ადგილობრივი პროდუქციის წარმოება ვერ უზრუნველყოფს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. შედეგად, ტურისტების საკვები პროდუქტები მესტიასა და სტეფანწმინდაში შემოდის მუნიციპალიტეტის გარედან: მესტიაში ძირითადად ზუგდიდიდან და ფოთიდან, სტეფანწმინდაში - ძირითადად თბილისიდან. ტურიზმი ახდენს ადგილობრივი წარმოების სურსათის რეალიზების ბაზრის გაფართოებას და ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა უნდა დაეწიოს ტურიზმის ზრდას, რათა არ მოხდეს ტურიზმის პირველი დადებითი შედეგების ნიველირება.

8. მთაში სასურსათო დაუცველობის ხარისხს ზრდის სურსათზე მაღალი ფასები.

მთაში სურსათის დეფიციტის შესავსებად შემოტანილი სასურსათო პროდუქცია, როგორც წესი უფრო ძვირია ბართან და სავაჭრო ცენტრებთან შედარებით. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პროდუქტი იმპორტულია. მთაში ფასების ზრდა გამოწვეულია ლოჯისტიკური მიზეზებით, სასაწყობო მეურნეობებთან სიშორით, ტრანსპორტირების ხარჯებით, ინფრასტრუქტურის პრობლემებით, სავაჭრო ქსელის განუვითარებლობით და სხვ. მაღალი ფასები ართულებენ სურსათზე ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას.

9. სიღარიბე და სურსათზე ფასები ისე როგორც ყველგან, მთიანეთშიც აისახება ოჯახების კვებაზე. მათი ზრდა იწვევს ოჯახის კვების სტრუქტურისა და ხარისხის გაუარესებას.

ტრადიციული კვების სისტემა სულ უფრო იცვლება ახალი სისტემით. კვების პროდუქტებში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს კვების მრეწველობის პროდუქცია. ასევე ხდება ახალი პროდუქტის ნახევარფაბრიკატებით ჩანაცვლება. ოჯახების სასურსათო უზრუნველყოფა სულ უფრო დამოკიდებული ხდება პროდუქტების შეძენაზე და შესაბამისად ფულად შემოსავლებზე. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე ხშირად დგება არჩევანი სურსათის ფასსა და ხარისხს შორის, რაც უმეტეს შემთხვევაში ფასის სასარგებლოდ წყდება. უფრო დაბალი ხარისხის

პროდუქტს ფასის გამო უპირატესობას გამოკითხულთა 84% ანიჭებს (აქედან, რესპოდენტთა 41% ხშირად, ხოლო 43% იშვიათად).

ყოველდღიურად მოხმარებული სურსათის რაოდენობისა და ხარისხიდან გამომდინარე, საკუთარი ოჯახის კვება გამოკითხულთა 72,5% შეაფასა როგორც საშუალო, ხოლო 13,8% როგორც ცუდი კვება.

10. მთიანეთში სურსათის მიწოდების სტაბილურობის რისკები უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყანაში მთლიანად. მთიანეთში სურსათზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის, სურსათის საჭირო რაოდენობის ფიზიკურად არსებობის რისკი გამოწვეულია დისტრიბუციის სისტემის, სატრანსპორტო და სავაჭრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით. სურსათით მომარაგების რისკები იზრდება აგრეთვე იმ შეფერხებების გამო, რომელიც გამოწვეულია მკაცრი ზამთრითა და დიდთოვლობით, ან ბუნებრივი სტიქიით დასახლებათა იზოლირებასა და მოწყვეტასთან.

11. მთიანეთში კვების სტრუქტურასთან ერთად მნიშვნელოვანია არსებული სანიტარულ-ჰიგიენური და წყლით უზრუნველყოფის საკითხების სრულყოფა. აღსანიშნავია რეალური დადებითი ძვრები სასმელი წყლით უზრუნველყოფის, კანალიზაციის სისტემის განვითარების, მყარი ნარჩენების დასუფთავების, ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასმელი წყლით უზრუნველყოფა. 70,9% მთიანეთის მოსახლეობის წყალს იღებს ცენტრალური წყალმომარაგებით. მოსახლეობის უმრავლესობა (54%) სარგებლობს ჩასარეცხი ტუალეტით. ბოლო ხუთ წელიწადში მყარი ნარჩენების (ნაგვის) დასუფთავების ცენტრალიზებული სისტემის მომსახურებამ მოსახლეობის 5%-ის ნაცვლად 44.2% მოიცვა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მიმართულებებით გამოწვევები მნიშვნელოვანია:

მთიანეთში ცენტრალური წყალმომარაგების გარეშეა მოსახლეობის 30%-მდე, მოსახლეობის 46% არ არის უზრუნველყოფილი საკანალიზაციო ქსელით და არ აქვს კანალიზაციის სისტემასთან დაკავშირებული სან-ჰიგიენური კვანძი, მოსახლეობის 55,8% ნაგავს წვავს, მარხავს, ან სტიქიურ ნაგავსაყრელზე გააქვს, ყრის მდინარესა და ღელეებში და სხვ.

12. სასურსათო და კვების უსაფრთხოებას აქვს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები არა მარტო მთიანეთის რეგიონისა და სახელმწიფოს არამედ მთიანეთის ცალკეულ მუნიციპალიტეტებისა და საოჯახო მეურნეობების დონეებს შორის.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა დიდი კავკასიონის ქედის მუნიციპალიტეტებსა და მცირე კავკასიონის მუნიციპალიტეტებს შორის მიწისა და ადამიანური რესურსების თანაფარდობის თვალსაზრისით. ამ თანაფარდობის მიხედვით აქ არსებობს სამი ტიპის რეგიონი:

- მცირე მოსახლეობით (დიდი კავკასიონის ქედის მუნიციპალიტეტები (ახმეტა⁴, დუშეთი, ყაზბეგი, ონი, მესტია)
- მცირე ტერიტორიით (ქედა, შუახევი, ხულო)
- მოსახლეობისა და ტერიტორიის შესაბამისობით (ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, დმანისი).

13. კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეები სურსათის წარმოებისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მთიანი რეგიონის კონტექსტში უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა საქართველოსთვის. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებთა მიერ ბუნებრივ გარემოსთან ადაპტირება ბუნების არაპროგნოზირებად მოვლენებთან

⁴ ახმეტის მუნიციპალიტეტის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს თუშეთს.

გასამკლავებლად უწყვეტად მიმდინარეობს. დღეს ამას აქვს დამატებითი მნიშვნელობა გლობალური დათბობის პირობებში. ნიშანდობლივია, რომ მაღალმთიანი სოფლებიდან მიგრაციის სამ მთავარ მიზეზთა შორის, გამოკითხულთა 18%-ის მიერ კლიმატის ცვლილება და სტიქიური უბედურებების სიხშირე იქნა დასახელებული.

14. კვლევის მასალებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ კვლევის ინტერესის სფეროში მოქცეულ მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და მისი ზეგავლენის შემცირებისათვის საქმიანობა ინსტიტუციონირებული არ არის. ზოგადად მუნიციპალიტეტებში ინფორმირებულობის დონე არასაკმარისია, ადგილებზე კლიმატის ცვლილებების რისკებს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მაგრამ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგები და ზეგავლენა ადგილობრივ ეკონომიკასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე არ განიხილება. მუნიციპალიტეტებში არ არსებობს სპეციალური სტრუქტურა ამ მიმართულებით. ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგების შერბილების წინასწარი ღონისძიებები არ ტარდება. ძირითადად რეაგირება ხდება უკვე მომხდარ კატასტროფაზე. ეს მაშინ, როდესაც გასული 5 წლის განმავლობაში რესპოდენტთა 100%-მა დაადასტურა სტიქიური უბედურების მოხდენა თავის მუნიციპალიტეტში.

15. საქართველოს მთიანეთის საზღვრისპირა რეგიონებში ჯერ კიდევ არ არის დამღეული საზღვრის ჩაკეტვის ეკონომიკური შედეგები, რაც გამოიწვია ადმინისტრაციული საზღვრების სახელმწიფო საზღვრებად ტრანსფორმაციამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.

მოშლილია სეზონური მომთაბარე მეცხვარეობა, როდესაც საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიჰყავდათ ცხვარი სამოვარზე. ასევე დარღვეულია ტრადიციული სასურსათო უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც გულისხმობდა მომთაბარე მეცხოველეობასა და ჩრდილოეთის მთის ხალხების მიერ წარმოებული პროდუქტების რეალიზებას საქართველოს ბარში და სანაცვლოდ ბარიდან მათთვის საჭირო პროდუქტებით მომარაგებას (ხშირად ამის ნატურალური გაცვლის სახე ჰქონდა).

16. მთიანეთის სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მთიანი რეგიონების ეკონომიკური ზრდა, რომელიც მიიღწევა სოფლის მეურნეობისა და სხვა ადგილობრივი კონკურენტული უპირატესობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებით, მოცემულ ეტაპზე არ ხორციელდება. მთიანეთში ინოვაციური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის მუნიციპალიტეტებს ადგილებზე ამის რესურსები არ გააჩნია, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მთიანი რეგიონის კომპლექსური განვითარების მიზნობრივი პროგრამა დღემდე არ არის მიღებული.

17. სასურსათო და კვების უსაფრთხოების სისტემის შექმნის პოლიტიკური ნება მის ცალკეულ ელემენტებთან დაკავშირებით ძირითადად გამოხატულია ამჟამად საქართველოში მოქმედ **სტრატეგიულ დოკუმენტებში**: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“, სამთავრობო პროგრამა - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის.“ **ტერიტორიული, სივრცობრივი ხასიათის** - „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია“, „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“ და ცალკეული მხარეების განვითარების სტრატეგიები.

დარგობრივი ხასიათის „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია“, თუმცა კონკრეტულად მთიანი რეგიონების სასურსათო და კვების უსაფრთხოების საკითხები ამ დოკუმენტებში განხილული არ არის.

18. საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ (2015 წ.) მართალია მთიანეთში სასურსათო და კვების უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის შეიცავს ნორმებს სოციალური, დემოგრაფიული და აგრეთვე ეკონომიკის განვითარების სტიმულირების მიმართულებით, მაგრამ ის არ არის ორიენტირებული სასურსათო და კვების უსაფრთხოების კომპლექსურ უზრუნველყოფასა და ფუნქციონირებაზე. ამავე დროს ეს კანონი თავისი მოქმედების არეალად განიხილავს არა მთლიანად მთიან რეგიონს, არამედ მხოლოდ მის „მაღალმთიან“ ნაწილს. ეს მაშინ როდესაც მთიან რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების „მაღალმთიანობის“ კრიტერიუმებით გამიჯვნა უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია.

3. რეკომენდაციები

მიღებული დასკვნების შედეგად შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სასურსათო და კვების უსაფრთხოების სახელმწიფო უზრუნველყოფის სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა.

საქართველოში, მათ შორის მის მთიანეთში სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სრულყოფილი სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის მიზნით აუცილებელია მიღებულ იქნას მაკოორდინირებელი ჩარჩო დოკუმენტი/ები: საქართველოს კანონი „სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ“ და/ ან „საქართველოს სასურსათო და კვების უსაფრთხოების სტრატეგია“ - აღნიშნული დოკუმენტები უნდა მოიცავდნენ შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- განისაზღვროს საქართველოში სასურსათო და კვების უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის მიზნები, ამოცანები, მიმართულებები და მისი განხორციელების მექანიზმები სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის/ქალაქის, მთიანი რეგიონების, საოჯახო მეურნეობების დონეზე;

- დადგინდეს სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა, მათი პასუხისმგებლობა და კომპეტენციები, მიზნები, ამოცანები და ფუნქციები;

- ჩამოყალიბდეს კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციისაგან საქართველოს მოსახლეობის დაცვის პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების გატარების, საგანგებო ან/და კრიზისული სიტუაციების დროს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო სამოქმედო გეგმა;

- დადგინდეს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელებისათვის ფინანსური უზრუნველყოფისა და მონიტორინგის წესი.

2. საქართველოს სასურსათო და კვების უსაფრთხოების პოლიტიკის სისტემაში გათვალისწინებულ იქნას მთიანეთთან დაკავშირებული საკითხები და მათი სპეციფიკა.

- მთიანი რეგიონი და მაღალმთიანი რეგიონი განისაზღვროს ცალ-ცალკე ცნებებით. მთიანი და მაღალმთიანი რეგიონი/რეგიონები გამოიყოს სპეციალურად როგორც განვითარების რეგიონები, თავისუფალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ბმისაგან და მათთვის განხორციელდეს მთიანი/მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამები. სასურველია დამკვიდრდეს მთიანი რეგიონის ევროპული გაგება. ევროპის საბჭოს რეკომენდაციის 75 (2000)⁵ მიხედვით „მთიან რეგიონ“ ეს არის „ნებისმიერი ზონა, სადაც ადამიანის საქმიანობა მიმდინარეობს სიმაღლესთან, ადგილმდებარეობის რელიეფთან და კლიმატთან განსაკუთრებული სახით დაკავშირებულ პირობებში“.

- მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის მიზნად უნდა განისაზღვროს არა დასახლებული პუნქტები, არა სოფელი, რომელიც მდებარეობს რომელიღაც მთის ფერდობზე, არამედ პირიქით, მთების განვითარება უნდა გავიგოთ რეგიონის განვითარების კონცეფციის

⁵ [https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=REC\(2000\)075&Language=lanEnglish&Ver=original&Site](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=REC(2000)075&Language=lanEnglish&Ver=original&Site)

ფარგლებში, როგორც ინტეგრალური, კომპლექსური საკითხი, სადაც ერთიანობაშია ეკოლოგიური, სოცო-კულტურული და ეკონომიკური სისტემები წარმოდგენილი ერთიანი ტერიტორიული მართვის მეშვეობით.

- მთიანი რეგიონებისათვის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო დამახასიათებელია მცირე მიწიანი და მრავალნაკვეთიანი წვრილი მეურნეობები. მთიანეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა, უპირველეს ყოვლისა, არსებული წვრილი საოჯახო მეურნეობების, როგორც მოცემულობის ბაზაზე უნდა განხორციელდეს. ამ მოცემულობის ფარგლებში უნდა მოიძებნოს გზა არსებული მცირე მეურნეობების ეფექტიანობის ამაღლებისა და მათზე დაყრდნობით სასურსათო ავტონომიურობისა და ბაზრებზე წვდომის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

- აღიარებულ იქნას, რომ მთიანი რეგიონები მიუხედავად საერთო ნიშნებისა, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ხასიათდებიან დიდი მრავალფეროვნებით. ამიტომ მთიანეთის განვითარების საკითხების გადაწყვეტისას ორიენტაცია ალებულ უნდა იქნას არა მარტო მათ საერთო, არამედ ასევე ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, სპეციალური მიზნობრივი პროგრამების სახით.

- სასურსათო და კვების უსაფრთხოების პოლიტიკა მთაში უნდა დაეფუძნოს ეკონომიკის ზრდას. მთაში სასურსათო და კვების უსაფრთხოების პოლიტიკა არ უნდა იქნას დაყვანილი მხოლოდ/ძირითადად მთის სოფლის მეურნეობის განვითარებასა და სოციალური დახმარებისა და სტიმულების სისტემაზე. მით უმეტეს, რომ არსებულ სიტუაციაში ტრადიციული სოფლის მეურნეობის აღორძინების გზით მთის პრობლემების გადაჭრა, დასაქმების გაზრდა და სიღარიბის დაძლევა, შეუძლებელია. ტრადიციული სოფლის მეურნეობის აღდგენაც უნდა ორიენტირებული იყოს ეკონომიკური სარგებლიანობის ზრდაზე. საქართველოს მთიანეთში მომგებიანი სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია ორგანულ სოფლის მეურნეობაზე და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციით და კოოპერაციის ორგანიზაციული ფორმის გავრცელებით.

- განხორციელდეს მთიანი რეგიონების განვითარების დივერსიფიკაცია.

სურსათზე ხელმისაწვდომობა უნდა გაიზარდოს არა მარტო სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამზადებელი და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების გზით, არამედ შემოსავლებით ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროებიდან, რომელიც დაკავშირებულია მთიანი რეგიონის ბართან შედარებით არსებული უპირატესობების რეალიზებასთან, მათ შორის: ლანდშაფტი, სუფთა ჰაერი, ტყის მერქნული და არამერქნული რესურსები, ველური ბალახები და ხილ-კენკროვნები და სხვა. აუცილებელია ყველა ამ შესაძლებლობების კაპიტალიზაცია.

განვითარების გზების დივერსიფიკაცია უნდა განხორციელდეს მთის ცალკეული ზონების სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავებული პროგრამების მიხედვით, რომელიც ფინანსურად მხარდაჭერილი იქნება სახელმწიფოს მხრიდან.

3. მთიანეთში სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროების განვითარებისათვის სურსათის არსებობისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის, კვების ხარისხისა და სტაბილურობის

უზრუნველყოფის მექანიზმად გამოყენებულ იქნას სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები დიფერენცირებული ტერიტორიებისა და პრობლემების მიხედვით.

- სასურსათო და კვების უსაფრთხოებისა და მთიანეთის განვითარების პროგრამები უნდა იყოს ჰარმონიზებული და კოორდინირებული. სასურსათო და კვების უსაფრთხოების სისტემა დარგობრივი მართვის სისტემიდან უნდა გადავიდეს ძირითადად ტერიტორიულ-სივრცობრივ მართვაზე. ამასთან, გაიზარდოს რეგიონულ და სექტორულ პოლიტიკებს შორის შესაბამისობა და კოორდინაცია.

- ქვეყანაში სასურსათო და კვების უსაფრთხოების მაკროპოლიტიკის განხორციელებასთან ერთად უნდა მოხდეს ამ პოლიტიკის რეგიონალიზაცია.

- დიდი კავკასიონის მთიანეთის პროგრამა უნდა ამოვიდეს იმ რეალობიდან, რომ დიდი კავკასიონის რეგიონში მოსახლეობის ისტორიულად არსებული განსახლება მოშლილია, გაუკაცრიელებულია ტერიტორიები, მოსახლეობა შემორჩენილია ბუდობრივად, ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრებსა და მათ სიახლოვეს. ერთნაირი მდგომარეობა იძლევა საშუალებას ერთიანი პროგრამის შემუშავების, თუმცა შიგნით თითოეული პროგრამა ცალკეულ კუთხეებზე (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ხევი, ხევსურეთი, ფშავი) ცალკ-ცალკე უნდა იყოს შედგენილი.

- თუშეთისათვის უნდა შემუშავდეს სპეციალური ინდივიდუალური სახელმწიფო პროგრამა. პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს თუშეთში გზის გახსნის შემდეგ ცხვრის აყვანის უკვე ჩამოყალიბებული სისტემა, გაარკვიოს საკუთრებითი საკითხი დაცლილ სოფლებსა და სათიბ-სამოვრებზე, დასახოს გზები ენდემური თუშური ცხვრის ჯიშის გასამრავლებლად, ხელი შეუწყოს მთაში შექმნილი პროდუქტის (ხორცი, ყველი, მატყლი, ტყავი და სხვ.) ბაზრებზე წვდომას.

- მცირე კავკასიონის რეგიონში ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში არსებობს მოსახლეობის სიჭარბე არსებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და სასურველია სპეციალური განსახლების სახელმწიფო პროგრამით ამ დისპროპორციის მოხსნა.

- მთიანეთში მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა ამუშავდეს მცირე მეურნეობათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა.

- პროგრამა მიმართული უნდა იყოს მცირე მეურნეობების პროდუქტიულობის ზრდასა და კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობაზე.

მცირე მეურნეობისათვის პროგრამების განხორციელების მიზნებში მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სოფლად სიღარიბის დაძლევისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის მიმართულებები. ნატურალური მეურნეობების რისკის შემცირება შესაძლებელია მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდითა და სიღარიბის შემცირებით, ხოლო მათი კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა კი შეიძლება კონკრეტული სასაქონლო პროდუქტის წარმოებისა და მათი ეფექტიანობის ზრდით.

- უნდა დაინერგოს სასურსათო უსაფრთხოების ადრეული გაფრთხილების სისტემა, რომლის ინფორმაცია უნდა იყოს მცირე მეურნეობისათვის ხელმისაწვდომი.

- ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უნდა შემუშავდეს მასტიმულირებელი პოლიტიკა.

- მცირე ფერმერულ მეურნეობებში „კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ დანერგვის ხელშეწყობა, რომლის მიზანია უსაფრთხო და მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება, ეფექტიანი და სტაბილური წარმოება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, დეგრადაციის პროცესის შემცირება და შენარჩუნება.

4. დაძლეულ უნდა იქნას მთიანეთში საბაზრო სისტემასთან ადაპტირების, სასურსათო და კვების უსაფრთხოებისა და მთიანეთის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორები.

- მიწაზე საკუთრების მარეგულირებელი ინსტიტუციური მექანიზმების და მიწის ბაზრის, მისი ყიდვა-გაყიდვის (იდენტიფიცირების, რეგისტრაციის, კადასტრის, გადასახადების და სხვ.) ნორმატივების სრულყოფა და მოწესრიგება;

- მთის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საკუთრებასთან დაკავშირებით არსებული გენდერული დინამიკა, დაძლეულ იქნას განსხვავება ქალსა და კაცს შორის კანონმდებლობით აღიარებულ თანასწორობასა და რეალურ პრაქტიკას შორის (მაგალითად ქალთა საკუთრებითი უფლებები, რომელიც არ სრულდება საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემის დროს);

- სოფლის იურიდიული სტატუსის დადგენა და მისთვის საკუთარი ფინანსური წყაროების გაჩენით სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში თვითმმართველობის პოტენციური შესაძლებლობების გამოყენება;

- საკუთარი ფინანსური წყაროების ზრდის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებისა და ჩართულობის ზრდა მუნიციპალიტეტებში სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში; სურსათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სიღარიბის დაძლევის მიზნით უმწეო ოჯახების დახმარების სოციალური პროგრამის განხორციელებაში; სპეციალური სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის საქმეში; ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თვითორგანიზაციის ფორმებისა (კოოპერაცია) და მცირე მეურნეობათა განვითარების მხარდაჭერაში.

4. სასურსათო და კვების უსაფრთხოება მთიანეთში

საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის არ ხორციელდება მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც დაფუძნებულია ტერიტორიულ-სივრცობრივ პრინციპებზე, მათ შორის არც სასურსათო და კვების უსაფრთხოების მიმართულებით. ყველა რეგიონისადმი არის ერთი უნიფიცირებული მიდგომა და ამ საერთო მიდგომის ფარგლებში შეიძლება იყოს მთიანეთთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ აღნიშნული საკითხები არ არის სისტემატიზირებული და ჯეროვნად ასახული.

არსებული მდგომარეობის შესწავლა გართულებულია იმის გამო, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურები არაა მოწყობილი და ორიენტირებული სასურსათო უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაზე. აგრეთვე იმიტომ, რომ ოფიციალური სასურსათო უსაფრთხოების სტატისტიკა ძალიან მწირია. ის არ ამუშავებს მონაცემებს მთიანი რეგიონებისათვის, ადრეული გაფრთხილების სისტემისათვის, სურსათის ხელმისაწვდომობის კუთხით, მუნიციპალიტეტების ჭრილში და სხვა.

4.1 სურსათის არსებობა

საქართველოში სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (%-ობით) 2014 წლისათვის ⁶			
სურსათის სახეობა	წელი		
	2012	2013	2014
ხორბალი	9	12	8
სიმინდი	100	96	92
კარტოფილი	89	100	89
ბოსტნეული	78	75	70
ყურძენი	127	130	141
ხორცი	36	39	41
კვერცხი	100	95	96

საქართველოს მთიანეთში სურსათის წარმოება დამოკიდებულია წარმოების ფაქტორების (ადამიანური რესურსები, მიწა, კაპიტალი) მდგომარეობაზე. მთიანეთი ხასიათდება მიწის როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად (ჰუმუსის თვალსაზრისით) შეზღუდული რესურსებით. მთაში აგრეთვე შეზღუდულია დემოგრაფიული რესურსები, როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად (შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის თვალსაზრისით). მდგომარეობა განსხვავდება რეგიონების მიხედვით.

მიწისა და ადამიანური რესურსები

- დიდი კავკასიონის ქედის მუნიციპალიტეტებიდან, სადაც სასურსათო და კვების უსაფრთხოების სისტემის შესასწავლად შერჩეული იქნა ხუთი მუნიციპალიტეტი, აქედან სამი (ახმეტა, დუშეთი, ყაზბეგი) აღმოსავლეთ საქართველოში და ორი (ონი, მესტია) დასავლეთ

⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

საქართველოში. აქ დგას მოსახლეობისაგან დაცლილი ტერიტორიის პრობლემა. მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე შეადგენს მესტიაში და ყაზბეგში 3 კაცს; ონი - 4; დუშეთში - 9; ახმეტაში - 15 კაცს.

- მცირე კავკასიონის მთიანეთში არ დგას დეპოპულაციისა და დაცლილი ტერიტორიების პრობლემა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების - ქედა, შუახევის, ხულოს მდგომარეობა. მოსახლეობის სიმჭიდროვე დასახელებულ მუნიციპალიტეტებში შეადგენს შესაბამისად 38, 26 და 33 კაცს კვადრატულ კილომეტრზე.

მოსახლეობის სიმჭიდროვე ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში შესაბამისად შეადგენს: 21, 13, 36 და 16 კაცი/კმ².

- გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მოსახლეობის მიერ მიტოვებული ადგილები პირდაპირ კავშირშია ზღვის დონიდან სიმაღლესთან და დაშორებასთან რაიონული ცენტრებიდან. დაცლილი სოფლების შესწავლით დადგინდა, რომ დაიცალა ის სოფლები, რომლებიც ყველაზე შორს მდებარეობდნენ ცენტრისაგან (სტეფანწმინდისაგან) და რომელთა სიმაღლე იყო 2000 მეტრზე მეტი ზღვის დონიდან. ონის მუნიციპალიტეტში ეს პროცესი 1500 მეტრ სიმაღლის სოფლებში მოხდა და კრიტიკულ ზღვარზეა 1300 მეტრი სიმაღლის სოფლებისათვის.

სასურსათო და კვების უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია დაცლილი, სეზონური და მუდმივი მოსახლეობის მქონე სოფლების გათვალისწინება სახელმწიფო პროგრამებსა და ღონისძიებებში. საქართველოს მოქმედი პოლიტიკა არ არის არც აღნიშნულის საფუძველზე დიფერენცირებული. საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ ცნობს მხოლოდ ერთ ცნებას - „მაღალმთიან დასახლებას“ და არ ახდენს სამართლებრივი ნორმების დიფერენცირებას ამ დასახლებათა ტიპების მიხედვით, რაც ბუნებრივია დადებითად არ აისახება პოლიტიკის შედეგიანობაზე.

სურსათით თვითუზრუნველყოფა მთიანეთში


როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მუნიციპალიტეტები - ყაზბეგი, დუშეთი, ონი, მესტია, ქედა, შუახევი, ხულო, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, დმანისი - წარმოადგენენ სამთო მეცხოველეობის სპეციალიზაციის ზონას, ყველგან გავრცელებულია მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი მეცხოველეობა. გამონაკლისია ახმეტა, რომელიც სამრეწველო მევენახეობის სპეციალიზაციის ზონაა. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროფილის მიუხედავად, სურსათით თვითუზრუნველყოფა და ამავე დროს სასაქონლო პროდუქციის წარმოება შეუძლიათ მხოლოდ რამოდენიმე პოზიციით, ძირითადად მესაქონლეობის, მეცხვარეობის, მეკარტოფილეობის პროდუქციით, ბოლო დროს ვითარდება მეფუტკრეობა. გამოკითხვის თანახმად, საოჯახო მეურნეობაში წარმოებული კულტურებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:

საოჯახო მეურნეობაში წარმოებული კულტურებით თვითუზრუნველყოფის მარკინაბალი

კულტურა	პროცენტული მარკინაბალი
კარტოფილი	94.9%
ვაშლი	55.4%
რძე	54.8%
კიტრი	49.0%
მანონი	47.1%
ყველი	46.5%
პომიდორი	42.0%
ნიორი	38.2%
ჭარხალი	37.6%
მწვანელი, ბოლოკი, წინაპა	35.7%
სიმინდი	35.0%
სტაფილო	33.8%
ხახვი	32.5%
პაპალი, თხილი, ნუში	31.8%
კვერცხი	28.0%
ფხალეული, მწვანე ლობიო, ბარდა	27.4%
კომბოსტო	26.1%
საქონლის ხორცი	24.2%
ყურძენი	21.7%
კარაქი	20.4%
ნადული	20.4%
ფრინველის ხორცი	16.6%
არაჟანი	14.6%
ხაჭო	14.6%
თაფლი	11.5%
ხორბალი	10.8%
ღორის ხორცი	8.9%
ბადრიჯანი	7.6%

მთიანეთის საოჯახო მეურნეობის თვითუზრუნველყოფისა და შემოსავლების დონის შემცირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგების მაჩვენებლები. დანაკარგებს შორის ზოგიერთი პროდუქტის მასშტაბი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორცაა: კარტოფილი, ვაშლი (მესტიასა და ასპინძაში) და სხვა. ქვემოთ მოცემულია გამოკითხვის შედეგად მოსახლეობის რა რაოდენობამ (%-ობით) მიუთითა მოწეული პროდუქტის შენახვის დროს გაფუჭების შესახებ კულტურების მიხედვით:

სურსათის შენახვის დროს სათავაზო მეთოდებში წარმომავალი კულტურების დანაკარგები




ზოგადად მიღებულია, რომ მთიანი რეგიონების პრობლემა მიწის სიმცირეა. თუ არ ჩავთვლით აჭარის მთიანეთს, მოსახლეობის იმ რაოდენობისათვის, რაც დღეს მთიან რეგიონში ცხოვრობს, მიწის სიმცირის პრობლემა არ არის.


თუმცა მიწასთან დაკავშირებით გადაუდებელი პრობლემაა მიწის საკუთრებისა და რეგისტრაციის მოუწესრიგებლობა. ეს პრობლემა მთელი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. მიწაზე საკუთრების რეგისტრაცია არ აჭარბებს 33%-ს. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია (მაგალითად ყაზბეგში - 17%, შუახევში - 20%).

საკუთრებასთან და მეურნეობის წარმართვასთან გენდერული მდგომარეობის კვლევისას საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით მამაკაცების ხაზით გადაცემის პრიორიტეტი დადასტურდა (66,4%), ქალის ხაზით გადაცემა დამოკიდებულია ოჯახურ სიტუაციებზე, როდესაც გადაეცემა ხან ქალის, ხან კაცის ხაზით (ასეთ შემთხვევებზე მიუთითა რესპოდენტების 32,9%).


ბაზარზე პროდუქციის გათანის ხელშეშლელი ფაქტორები



საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემა გენდერულ ჭრილში



"ოჯახის უფროსი" თანაფარდობა ქალსა და კაცს შორის



კაპიტალი

მთიანი რეგიონები განიცდიან კაპიტალის მწვავე ნაკლებობას. ინვესტორები თავს იკავებენ მთიან რეგიონებში ინვესტირებისაგან, გარდა ერთეული პროექტების ჰიდროელექტროსადგურების, სატრანსპორტო ტრანზიტის შემთხვევებისა და საბაჟო-გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურის, სამთომომპოვებითი წარმოებისა და ტურიზმის ბიზნესისა. ადგილობრივი მცირე მეურნეობებისათვის კრედიტებზე ხელმისაწვდომობა გართულებულია. აღნიშნული მცირე მეურნეობების მიერ კრედიტებზე ხელმისაწვდომობისა და აგრარული ბიზნესის შემაფერხებელ ფაქტორებს, სხვა ფაქტორებთან ერთად მიწის ბაზრის განუვითარებლობა წამოადგენს.

4.2 სურსათზე ხელმისაწვდომობა


დაბალი შემოსავლებისა და სიღარიბის გამო საოჯახო (შინა) მეურნეობების ნაწილისათვის სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, იმის მიუხედავად არის თუ არა ის ფიზიკურად ქვეყნის ბაზარზე.

სურსათის ეკონომიკური ხელმისაწვდომობა შეზღუდულია სიღარიბის გამო. საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი საოჯახო მეურნეობების/მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან

სამომხმარებლო ხარჯებში 2014 წლის მონაცემებით 44,4%-ს შეადგენს⁷ (განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20%-ს არ აღემატება).


“ეროვნული ნუტრიციის კვლევა საქართველოში, 2015, ოქსფამი” მონაცემების თანახმად, ქვეყნის მასშტაბით, დაბალ შემოსავლიანი ოჯახების სურსათზე გაწეული დანახარჯები მთლიანი დანახარჯების 65%, საშუალო შემოსავლების 52% და მაღალი შემოსავლის 35% შეადგენს.

მთიანეთში საოჯახო მეურნეობების სამომხმარებლო ხარჯებში სურსათზე ხარჯების წილი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: საოჯახო მეურნეობათა 63%-ისათვის საოჯახო მეურნეობების სამომხმარებლო ხარჯებში სურსათზე ხარჯების წილი 50%-ზე მეტია, აქედან საოჯახო მეურნეობათა 22%-ისათვის სურსათზე ხარჯების წილი 75%-ზე მეტია სამომხმარებლო ხარჯებში, ხოლო საოჯახო მეურნეობათა 8%-ს საერთოდ არ ჰყოფნის შემოსავლები სურსათზე ხარჯებისათვის.




ოგივე ტენდენცია დაფიქსირდა ოჯახის თვითშეფასებისთვის დასმულ კითხვაზე გაცემულ პასუხებში. აქაც გამოჩნდა, რომ სურსათის ხელმისაწვდომობის დაბალი დონე მთიანეთში დაკავშირებულია ძირითადად ფულად შემოსავლებთან. ეს გამოჩნდა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში. ოჯახების ნაწილს (11,5%) ფულადი შემოსავალი არ ჰყოფნის საკვებზე, უმრავლესობისათვის (65,6%) თითქმის მთელი შემოსავალი საჭიროა საკვების შესაძენად და მხოლოდ 13%-ს აქვს შესაძლებლობა თავისი შემოსავლებით საკვების გარდა ფული დანახარჯოს სხვა საჭიროებებზე: მანქანა, დასვენება, კულტურა და სხვ. (9%-მა არ გამოხატა თავისი პოზიცია)

⁷ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo




ამავე დროს ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით (სახლ-კარი, მიწა და ა.შ.) შინამეურნეობების 81,9% თავიანთ თავს ძირითადად საშუალო შემოსულობის, ხოლო 16,3% - სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა კატეგორიას მიაკუთვნებენ.



იმისათვის, რომ შინამეურნეობა ჩაითვალოს მდიდრად რესპოდენტთა 20% თვლის, რომ საკმარისია 2000 ლარის შემოსავალი თვეში, 42%-ის აზრით ამისათვის 5000 ლარამდეა საჭირო, ხოლო 38%-ის აზრით კი შემოსავალი თვეში 5000 ლარზე მეტი უნდა იყოს.




მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება ძლიერაა დამოკიდებული ცენტრალური ბიუჯეტის სოციალურ ხარჯებზე. საოჯახო მეურნეობის შემოსავლებში შემაჯავალი დახმარებებისა და შეღავათებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის პენსიასა და სოციალურ დახმარებებზე.




შიდა მეურნეობების თვითმეფასების დროს 2015 წელს წინა 2014 წელთან შედარებით პროგრესი არ დაუფიქსირებია შიდამეურნეობების 73%-ს. აქედან 44%-ისათვის შემოსავლები უცვლელი დარჩა, ხოლო 29%-ისათვის შემცირდა. (ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე ჯგუფისათვის უფრო ნაკლები გახდა სასურსათო

ხელმისაწვდომობა. ამასთან, პირველი ჯგუფისათვის, მხოლოდ მეურნეობის გარე ფაქტორების გამო (ფულის კურსის ცვლილება, ფასების ზრდა), ხოლო მეორე შემთხვევაში ადგილი გვაქვს მდგომარეობის პირდაპირ გაუარესებასთან.



უფულობა არასრულფასოვანი სასურსათო ხელმისაწვდომობის მთავარი მიზეზია. რესპოდენტთა მხოლოდ 16%-ს არ ჰქონია ბოლო 12 თვის განმავლობაში შემთხვევა უფულობის გამო რომელიმე სურსათის მოხმარებაში რომ არ ჰქონოდა წყვეტა. უფულობის დროებითი დაძლევა ხდება სესხის სახით, ძირითადად (81%) ე.წ. წისიის სახით.



4.3. კვების უსაფრთხოება და მიწოდების სტაბილურობა


პროდუქტის უვნებლობის საკითხი სასურსათო და კვების უსაფრთხოების სისტემიდან მნიშვნელოვნად განვითარებული სეგმენტია. არსებობს სპეციალური კანონი - „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ სურსათის უვნებლობის საკითხი ინსტიტუციურად გადაწყვეტილია - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სახით. ამასთან, ეს არის ევროპასთან ასოცირების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. საკანონმდებლო მიახლოების პროგრამით გათვალისწინებული სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემის დანერგვის გრაფიკი. განსაკუთრებით სუსტია კონტროლის მექანიზმი. შემოწმების არსებული რაოდენობა და სიხშირე ვერ უზრუნველყოფს სურსათის კრიტიკულად საჭირო მასის მოცვას.

კითხვაზე - თქვენი ოჯახის კვება, გამომდინარე იმ სურსათის რაოდენობისა და ხარისხისაგან, რომელსაც თქვენი ოჯახი ყოველდღიურად მოიხმარს, როგორ შეფასებას შეესაბამება - 72,5%, 13,8%, 13,8% შესაბამისად უპასუხეს: საშუალო, კარგ და ცუდ კვებას. საოჯახო მოხმარებაში სურსათის სახეობათა შორის პირველი ადგილი პურს და პურპროდუქტებს უკავია:

ძირითადი პროდუქტების სახეობების მოხმარების მონაცემები	
პროდუქტის სახეობა	დასახელების სიხშირე
პური და პურპროდუქტები	99,4%
რძი, რძის პროდუქტები	78,1%
ბოსტნეული	55,6%
ხორცი	50,0%
შაქარი	40,6%
კვერცხი	37,5%
ხილი	31,9%
ჩაი	24,4%
მცენარეული ზეთი	23,1%
ცხიმო, კარაქი, მარგარინი	17,5%
ყავა	16,3%
თევზი	10,6%
საკონდიტრო ნაწარმი	1,9%
უალკოჰოლო სასმელები	1,9%
სხვა	1,2%

პურისა და პურპროდუქტების ხარისხის კონტროლი არ შეესაბამება პროდუქციის მოხმარების ინტენსივობას. მუნიციპალიტეტებში დგას პურის ხარისხის პრობლემა. ეს საერთო ეროვნული პრობლემაა და გამოწვეულია პურისა და პურპროდუქტების სახელმწიფო რეგლამენტის ბოლო დრომდე არარსებობით. მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვა ქვეყნის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან საკითხს ეხება და საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიაშია შეტანილი. გარდა ამისა, იგი წარმოადგენს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვან პუნქტს. მიღებულია საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, თუმცა დაბალია მისი იმპლემენტაციის დონე. მუნიციპალიტეტებში, გარდა ადმინისტრაციული ცენტრებისა, სათანადოდ არ ხორციელდება ნარჩენების ორგანიზებული გატანა, გარდატეხა ჯერ არ დამდგარა ტრადიციულ მეთოდებზე უარის თქმის თვალსაზრისით. მოსახლეობის 55,8% ნაგავს წვავს, მარხავს, ან სტიქიურ ნაგავსაყრელზე გააქვს, ყრის მდინარესა და ღელეებში და სხვა ადგილებში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სასმელი წყლით უზრუნველყოფა. 70,9% მთიანეთის მოსახლეობის წყალს იღებს ცენტრალური წყალმომარაგებით. ბუნებრივი წყაროებით სარგებლობს 23,6%. ჭა მთაში გავრცელებული არაა. მხოლოდ 6% სარგებლობს ჭის წყლით.




სამხაპე აქვს მოსახლეობის მხოლოდ 52%-ს, ხოლო კანალიზაციაზე მიერთებული ჩასარეხი ტუალეტი აქვს მოსახლეობის 54%.

სასურსათო ხელმისაწვდომობას მთიან რეგიონში აქვს არასტაბილური ხასიათი მისი სეზონურობის გამო. სურსათზე ხელმისაწვდომობა იზრდება ზაფხულ-შემოდგომის დროს და მცირდება ზამთარ-გაზაფხულის დროს. ეს დაკავშირებულია ძირითადად ორ მოვლენასთან. შემოდგომაზე ბარის პროდუქტები ამოაქვთ გადასაცვლელად მთის პროდუქციაზე და ზამთრობით დიდთოვლობის გამო ხდება გზების ჩაკეტვა და გართულებულია არა მარტო ნატურალური გაცვლის შეფერხება, არამედ გართულებულია ფულის არსებობის შემთხვევაშიც სავაჭრო ცენტრებამდე და ბაზრობებამდე მიღწევა (როგორც წესი მუნიციპალურ ცენტრებში). საქართველოში არის 200-მდე სოფელი, რომელიც მიუწვდომელი ხდება ზამთრის პერიოდში. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პროდუქტს აწარმოებს საოჯახო მეურნეობა და როგორია საოჯახო მარაგების შექმნის მდგომარეობა.

ამრიგად, მთიან რეგიონებში სურსათზე ხელმისაწვდომობა გართულებულია მთაში მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონის გამო, რაც განპირობებულია სიღარიბის მაღალი დონით, სოფლის მეურნეობის დაბალრენტაბელობითა და დაბალშემოსავლიანობით მის ნატურალურ ხასიათთან ერთად.

ტრადიციული კვების სისტემა სულ უფრო ინგრევა სოფლებში. სულ უფრო მატულობს კვების ინდუსტრიული პროდუქციის მოხმარება, შესაბამისად კვება სულ უფრო დამოკიდებული ხდება ფულად შემოსავლებზე.

დაბალი ფულადი შემოსავალი იწვევს ისეთ მოვლენას, როდესაც შეგნებულად ხდება ფასის გამო უფრო დაბალი ხარისხის სურსათის ყიდვა. უფრო დაბალი ხარისხის პროდუქტისათვის ფასის გამო უპირატესობას გამოკითხულთა 41% ანიჭებს ხშირად, 43% იშვიათად და ასეთ გადაწყვეტილებაზე უარს ამბობს მხოლოდ 16%.



მთიან რეგიონებში იზრდება ტრადიციული საკვები მარაგების ჩანაცვლება ფულადი დანაზოგებით, განსაკუთრებით მუნიციპალურ ცენტრებსა და ახლო მდებარე სოფლებში, რომელთაც არ ემუქრებათ გზების დიდთოვლობით ჩაკეტვა.

5. სასურსათო და კვების უსაფრთხოების დონე


სასურსათო და კვების უსაფრთხოების სისტემის შეფასება, მისი არსებობა/არარსებობის დონის განსაზღვრა მუნიციპალიტეტისა და საოჯახო მეურნეობების დონეზე განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე. ფოკუს ჯგუფებში დადგინდა სურსათისადმი ხელმისაწვდომობა და ამ საკითხებთან დაკავშირებული მოსახლეობის სუბიექტური დამოკიდებულებები, შეფასებები, ძირითადი მოლოდინები და ხედვები. ეს მიდგომა დაეყრდნო სასურსათო უსაფრთხოების არარსებობის (სასურსათო დაუცველობის) გამოცდილების შკალის FAO-ს კონცეფციას და აშშ საყოფაცხოვრებო სასურსათო უსაფრთხოების (HFSSM) სისტემას.

სურსათის ხელმისაწვდომობის ზომის განსაზღვრა მოხდა თანმიმდევრულად სასურსათო უსაფრთხოების სისტემის ოთხი მდგომარეობის დადგენით:

- გაურკვევლობა და წუხილი სურსათზე ხელმისაწვდომობაზე
- კვების ხარისხის გაუარესება (ნაკლებად დაბალანსებული, ერთფეროვანი კვება)
- მოხმარებული საკვების რაოდენობის შემცირება (უღუფის ზომის შემცირება ან კვების გამოტოვება)
- შიმშილი.


შიმშილის ფაქტის დასადასტურებლად დასმული იყო ორი კითხვა ურთიერთგადამოწმების მიზნით.

პასუხი კითხვაზე - თქვენ იყავით მშიერი, მაგრამ არ გიჭამიათ იმიტომ, არ გქონდათ საკმარისი ფული ან სხვა რესურსები? შიმშილის ფიზიკურ გამოცდილებაზე მიუთითებს. გამოკითხულთა 13,4%-მა დაადასტურა შიმშილის ფაქტი.



პასუხი კითხვაზე - თქვენ მთელი დღე გაგიტარებიათ უჭმელი იმიტომ, რომ არ გქონდათ საკმარისი ფული ან სხვა რესურსები? - არის კონკრეტული ქცევის მაჩვენებელი, როდესაც მთელი დღე მშიერია უსახსრობის გამო. შედეგი იყო შემდეგი:


მთელი დღე გაგზავნილია უკველი იმით, რომ არ გქონდათ საკვები



შემოთხვევაში დაფიქსირდა რესპოდენტთა 9-13% შემთხვევაში.

6. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების სახელმწიფო სისტემა

კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეების სურსათის წარმოებისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მთიანი რეგიონის კონტექსტში უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა საქართველოსთვის. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბუნებრივ გარემოსთან ადაპტირება ბუნების არაპროგნოზირებად მოვლენებთან გასამკლავებლად უწყეტად მიმდინარეობდა. დღეს ამას აქვს დამატებითი მნიშვნელობა გლობალური დათბობის პირობებში. საქართველო მიერთებულია (1994 წ., 29 ოქტომბერი) კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციას⁸ და კიოტოს პროტოკოლს⁹. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 იანვრის #2 განკარგულებით, მათი განხორციელების ეროვნული პასუხისმგებელ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო¹⁰. ამჟამად მოქმედებაშია საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (2012-2016 წწ). კვლევის მასალებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი ინტერესის სფეროში მოქცეულ მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და მისი ზეგავლენის შემცირებისათვის საქმიანობა ინსტიტუციონირებული არ არის და თვითდინებით მიმდინარეობს, რაც ყველაზე უფრო იმაში გამოიხატება, რომ არ ხდება იმ ცოდნის და რესურსების გამოყენება, რაც ქვეყანას გააჩნია. ადგილებზე ყველა რესპოდენტმა დაადასტურა ბოლო 5 წლის განმავლობაში სტიქიური უბედურების მოხდენა დასახლებაში, სადაც ის ცხოვრობს.




⁸ UN Framework Convention on Climate Change (UNFCCC). (ხელი მოეწერა რიო-დე-ჟანეიროში 1992 წ., ძალაშია 1994 წ. 24 მარტიდან.

⁹ ხელი მოეწერა 1997 წ., ძალაშია 2005 წლიდან, საქართველო მიუერთდა 1999 წელს.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 სექტემბრის №172 დადგენილებით შეიქმნა "კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის "კიოტოს ოქმით" გათვალისწინებული "სუფთა განვითარების მექანიზმის" განხორციელების მაკოორდინირებელი საბჭო, რომლის მთავარი ამოცანაა სგმ პროექტებისათვის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით განსაზღვროს, რამდენად უწყობს ხელს წარდგენილი სგმ პროექტი ქვეყნის მდგრად განვითარებას, და გაუწიოს სგმ ეროვნულ პასუხისმგებელ ორგანოს წინაშე სგმ პროექტს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის სახელით თანხმობის გაცემის თაობაზე /http://moe.gov.ge/index.php?sec_id=140&lang_id=GEO

ამავე დროს მთიანი დასახლებებიდან მოსახლეობის მიგრაციის მეორე მიზეზად 18%-ის მიერ (დასაქმების შემდეგ - 71%) კლიმატის ცვლილება და სტიქიური უბედურებების სიხშირე იქნა დასახელებული.



საქართველოში არ არის დანერგილი ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების¹¹ სისტემა. ამ სისტემის ყველა კომპონენტი - სტიქიური უბედურებების თავიდან აშორება, მათი გავლენის შერბილება და მათთვის მზადყოფნა - ჯერ ერთი, უზრუნველყოფს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას, ადამიანთა დასახიჩრებისა და მატერიალური ზარალის თავიდან აშორებას და მეორე მხრივ, ამ მიმართულებით ყველა დანახარჯი წარმოადგენს შეუდარებლად დიდი დანახარჯების თავიდან აშორებას სტიქიური უბედურების დროს, ამცირებს ამ უკანასკნელის ნეგატიურ გავლენას განვითარების პროცესზე. მსოფლიოში შემუშავებულია ნებაყოფლობითი რეკომენდაციები უბედურების რისკების შემცირებისათვის ე.წ. „უბედურების რისკების შემცირების ჩარჩო პროგრამა 2015-2030 წლებისათვის“,¹² რომელთა დანერგვისათვის საქართველოში საკმარისი პირობები არსებობს.

¹¹ Disaster Risk Reduction

¹² Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015-2030. <http://www.wcdrr.org/preparatory/post2015>

დასკვნა

საქართველოს მთიანეთის სასურსათო და კვების უსაფრთხოება მრავალი გამოწვევის წინაშე დგას სურსათის ხელმისაწვდომობის, სურსათის არსებობისა და სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების სფეროების მიხედვით. კვლევის მიზანია სასურსათო და კვების უსაფრთხოების მდგომარეობის შესწავლა, მათ შორის კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეების იდენტიფიცირება, სურსათის წარმოებისა და სურსათზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.


კომბინირებული, კამერალური და საველე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ არსებული გამოწვევები დიდი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ტერიტორიებზე უფრო მაღალია ვიდრე ბარში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში სასურსათო და კვების უსაფრთხოების დონე უფრო დაბალია ვიდრე მთლიანად საქართველოში. სასურსათო პროდუქციის წარმოება ნაკლებად დივერსიფიცირებულია, რაც სურსათის დეფიციტის შესავსებად შემოტანილ სასურსათო პროდუქციას საჭიროებს. საქართველოს მთიანეთში შემოსავლების მაჩვენებელი დაბალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. სასურსათო უზრუნველყოფა სულ უფრო დამოკიდებული ხდება პროდუქტების შეძენაზე და შესაბამისად, ფულად შემოსავლებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხშირად დგება არჩევანი სურსათის ფასსა და ხარისხს შორის, რაც ზრდის მთაში სასურსათო დაუცველობის ხარისხს. მთაში ფასების ზრდა გამოწვეულია ლოჯისტიკური მიზეზებით, სასაწყობო მეურნეობებთან სიშორით, ტრანსპორტირების ხარჯებით, ინფრასტრუქტურის პრობლემებით, სავაჭრო ქსელის განუვითარებლობით, რაც ართულებს სურსათზე ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ზრდიან სასურსათო და კვების უსაფრთხოების რისკებს, ხოლო კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეები მაღალმთიანი სოფლებიდან მიგრაციის მთავარ მიზეზთა შორის იქნა დასახელებული.

ზემოთხსენებული საკითხები მთაში არსებული სხვა დანარჩენი პრობლემებისა და გამოწვევების ნაწილია, რომელიც შესწავლილ იქნა არსებული კვლევის ფარგლებში. არსებული საკითხების მოსაგვარებლად, დროის მოკლე პერიოდში შეუძლებელია პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავება. გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელია ჩამოყალიბებულ იქნას მეთოდური მიდგომები, რათა სწორად და ეფექტურად გატარდეს სასურსათო და კვების უსაფრთხოების სტრატეგია. არსებული რეკომენდაციები მოიცავს საქართველოში სასურსათო და კვების უსაფრთხოების ერთიანი სამართლებრივი სისტემის შექმნას, საქართველოში სასურსათო და კვების უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის მიზნების, ამოცანების, მიმართულებების და მათი განხორციელების მიზნით. პარალელურად, უნდა განისაზღვროს კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურა, მათი პასუხისმგებლობა, კომპეტენციები, მიზნები, ამოცანები და ფუნქციები. გარდა ამისა, უნდა ჩამოყალიბდეს კატასტროფისა და საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობის დაცვის პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების გატარების, საგანგებო ან/და კრიზისული სიტუაციების დროს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო სამოქმედო გეგმა.

მთიანი და მაღალმთიანი რეგიონი/რეგიონები გამოიყოს სპეციალურად როგორც განვითარების რეგიონები, თავისუფალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ბმისაგან. ამასთან, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის მიზნად უნდა განისაზღვროს რეგიონის განვითარება, როგორც ინტეგრალური, კომპლექსური საკითხი, სადაც ერთიანობაშია ეკოლოგიური, სოციო-კულტურული და ეკონომიკური სისტემები წარმოდგენილი ერთიანი ტერიტორიული მართვის მეშვეობით.

არსებულ პრობლემებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით აუცილებელია შემუშავდეს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარების მიზნით.

საქართველოს სასურსათო და კვების უსაფრთხოების პოლიტიკის სისტემაში გათვალისწინებულ იქნას მთიანეთთან დაკავშირებული საკითხები და მათი სპეციფიკა, რაც ხელს შეუწყობს მთიანეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვას და სასურსათო უსაფრთხოებისა და ნუტრიციის გაუმჯობესებას. მთის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო პროცესები, საკუთრებასთან დაკავშირებით არსებული გენდერული დინამიკა, დაძლეულ იქნას განსხვავება ქალსა და კაცს შორის კანონმდებლობით აღიარებულ თანასწორობასა და რეალურ პრაქტიკას შორის, ასევე სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში თვითმმართველობის პოტენციური შესაძლებლობების გამოყენება.



კვლევა მომზადდა ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამ“-ის პროექტის „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. კვლევა განახორციელა საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციისა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პოლიტიკის ინსტიტუტის ალიანსმა. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ფოტოს ავტორი: ნატალია ბურდული

